LABOR MOVEMENT IN GEORGIA 1870-1921

მუშათა მოძრაობა საქართველოში 1870-1921 წლებში[1]

IRAKLI IREMADZE

Phd Student of History
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chavchavadze Avenue 1, Tbilisi, Georgia
ORDCI: 0009-0002-4222-3918
Irakli.iremadze@tsu.ge
+995 595 95 66 72

ABSTRACT

In the 19th and 20th centuries, labour movements played significant role in shaping the social and political landscape. Within this period major events, including workers' movements, trade unions, and the emergence of social and political conflicts, profoundly influenced societies. As part of the Russian Empire, Georgia fell behind Europe in industrialization and the growth of the working class. However, by the latter half of the 19th century, signs of change began to appear.

This research examines the evolution of labor movements during the 1860s-1870s, with a particular focus on workers' strikes and their socio-political demands. It further studies the interaction between the labor movements and social-democratic political groups since the 1890s. Furthermore, the article explores the policies of the imperial regime towards the labour movements, as well as the revolutionary spirit among the workers, often inspired and supported by social-democratic parties.

The period from 1917 to 1921 is central to this study, as workers gained significant political influence and power after the revolution. This research scrutinizes the foundations of labour policy in the democratic republic, the role and significance of the labour movements, and trade unions, as well as the government's responses to strikes and dissents. The paper includes quotations and assessments from political leaders regarding the Republic's labor policy and trade unions.

The history of the Georgian labour movements is discussed within the broader European context, enabling a retrospective analysis of distinct periods and their significance.

Key Words: Labor Movement; Russian Empire; Social-Democrat Labor Party; The Democratic Republic of Georgia; Trade Union.

[1] 1917-1921 წლების პერიოდის შესახებ კვლევა [გრანტის ნომერი FR2113590] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. 1870-1917 წლების პერიოდის შესახებ კვლევა განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით კავკასიური სახლის პროექტის „შრომის ისტორია საქართველოში“ ფარგლებში.

ირაკლი ირემაძე

ისტორიის დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. #1, თბილისი, საქართველო
ORDCI: 0009-0002-4222-3918
Irakli.iremadze@tsu.ge
+995 595 95 66 72

აბსტრაქტი

მუშათა მოძრაობის ისტორია XIX-XX საუკუნეების სოციალური და პოლიტიკური ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ამ პერიოდში განვითარებული არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ მუშათა მოძრაობებს, შრომით ურთიერთობებსა და ამ ნიადაგზე წარმოშობილ სოციალურ და პოლიტიკურ კონფლიქტებსა და ტრანსფორმაციებს უკავშირდება. საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, ევროპაში დაწყებულ ინდუსტრიალიზაციას და მასთან დაკავშირებულ მუშათა კლასის ზრდის ტენდენციას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დროითა და მასშტაბით, თუმცა XIX საუკუნის მეორე ნახევარში გარკვეული ძვრები შეიმჩნეოდა.

წინამდებარე სტატიაში განხილულია მუშათა მოძრაობის განვითარების ეტაპები 1860-1870-იანი წლებიდან. ნაშრომში აქცენტი გამახვილებულია მუშათა გაფიცვებზე, მუშათა სოციალურ და პოლიტიკურ მოთხოვნებზე. ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური ჯგუფის ურთიერთობას 1890-იანი წლებიდან; მუშათა მოძრაობის, როგორც პოლიტიკური შინაარსის მატარებელი გაერთიანების, როლსა და მის მოქმედებებს, საიმპერიო რეჟიმის პოლიტიკას მუშათა მოძრაობების წინააღმდეგ და მუშათა რევოლუციურ გამოსვლებს, რომლებიც ინსპირირებული და მხარდაჭერილი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ.

კვლევაში ცენტრალური ადგილი უჭირავს 1917-1921 წლების მოვლენების აღწერას და გაანალიზებას, ეპოქისა, რომლის დროსაც მუშებმა რევოლუციის შემდეგ მოახერხეს პოლიტიკაზე რეალური გავლენის მოხდენა და თავადაც გაიზიარეს ძალაუფლების სადავეები. ნაშრომის აღნიშნულ ნაწილში განხილულია ის, თუ როგორ და რის საფუძველზე შენდებოდა დემოკრატიულ რესპუბლიკაში შრომის პოლიტიკა, რა როლი და ადგილი ეკავა მუშათა მოძრაობას და მათ პროფესიულ გაერთიანებებს, რა დამოკიდებულება ჰქონდა მთავრობასა და პროფესიულ კავშირებს უკვე დამოუკიდებელ საქართველოში გაფიცვებისა და მუშათა ცალკეული ჯგუფების მიერ წარმოებული წინააღმდეგობების მიმართ. ნაშრომში ციტატებისა და შეფასებების სახით წარმოდგენილია პოლიტიკური ლიდერების თვალსაზრისები რესპუბლიკის შრომის პოლიტიკისა და მშრომელთა პროფკავშირების შესახებ.

საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორია ნაშრომში განხილულია ევროპულ კონტექსტში და ცალკეული პერიოდებთან მიმართებით გვაძლევს რეტროსპექტული ანალიზის საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: მუშათა მოძრაობა; რუსეთის იმპერია; სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; საქართველოს დემოკრატიული მოძრაობა; პროფესიული კავშირები.

შესავალი

დასავლურ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XVIII-XIX საუკუნეების მუშათა მოძრაობების კვლევას. XVIII საუკუნეში საქართველოში მუშათა კლასი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ეს ვითარება რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებულ საქართველოში 1860-იან წლებამდე არ შეცვლილა. მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო შედარებით მოზრდილი საწარმოების დაარსება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება.

აღნიშნულ პერიოდში არსებული მუშათა მოძრაობის შესახებ ერთიანი სამეცნიერო კვლევა, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია. თუმცა, საკითხის გარშემო არსებობს ცალკეული მონოგრაფიები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდსა და საკითხს მოიცავს. შედარებით სრულყოფილი კვლევა, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის მუშათა მოძრაობას შეეხება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, გრიგოლ გიორგაძის ნაშრომია – *„საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905“*. მუშათა და სოციალ-დემოკრატთა შორის არსებული კავშირების შესახებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პროფესორ სტივენ ჯონსის წიგნი – *„სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა“*. მუშათა სოციალური ყოფისა და პროფესიული კავშირების საქმიანობის შესახებ ფართო სურათს გვიშლის ნაშრომი – *„საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა“* - რომლის ავტორიც დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკია. 1918-1921 წლებში პროფესიული კავშირების საქმიანობა გაშუქებული აქვს სოციალ-დემოკრატიის გამორჩეულ თეორეტიკოს კარლ კაუცკის ნაშრომში – *„საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი“*.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია 1870-1921 წლებში არსებული მუშათა მოძრაობების, მათი სტრუქტურის, სოციალური ბაზისის, ბრძოლის მეთოდების, მიზნებისა და პოლიტიკური შინაარსის აღწერა და შესწავლა საარქივო წყაროებზე, პრესის მასალებსა და არსებულ სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით.

კვლევის ჰიპოთეზა: XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში მუშათა მოძრაობა საქართველოში ფრაგმენტულ, არასისტემურ და სუსტ ხასიათს ატარებდა. მისი გავლენის ზრდა დაიწყო მას შემდეგ, რაც მშრომელებს პოლიტიკური მხარდამჭერი გამოუჩნდათ სოციალ-დემოკრატების სახით. მუშათა მოძრაობებმა 1902 წლის შემდეგ შეიძინეს დიდი პოლიტიკური გავლენა პოლიტიკურ ველზე, რაც 1918-1921 წლებში კიდევ უფრო ნათელი გახდა.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა განხორციელდა კონტენტ-ანალიზის, შედარებისა და განზოგადების მეთოდების გამოყენებით. კონტენტ-ანალიზის საფუძველზე დამუშავდა საარქივო წყაროები, პრესის მასალები, სამეცნიერო ნაშრომები და მემუარული ლიტერატურა. შედარების მეთოდის გამოყენებით საქართველოში მიმდინარე მოვლენები შედარდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

შედეგები: ნაშრომში წარმოდგენილია მუშათა მოძრაობების განვითარების ტენდენციები, შრომის პოლიტიკის ცვალებადობა და მისი პოლიტიკური განზომილებები 1870 წლიდან 1921 წლამდე. კვლევა პასუხს სცემს შემდეგ კითხვებს: რა საკითხების გარშემო ერთიანდებოდნენ მუშები? რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ სახელმწიფო ინსტიტუტების, დამსაქმებლებისა და პოლიტიკური ძალების მიმართ?

კვლევის შედეგად სტატიაში გაანალიზებულ იქნა 1870-1919 წლებში მოწყობილი მუშათა გაფიცვები, მუშათა გაერთიანებებისა და პოლიტიკური ჯგუფების როლი მათში. კვლევის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს შრომის პოლიტიკის ტრანსფორმაციის ჩვენება რეტროსპექტულად, 1870-დან 1921 წლამდე. კვლევაში სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე მუშათა გავლენის ერთგვარ საზომად განსაზღვრულია მათ მიერ სახელმწიფო ძალაუფლების გაზიარება, რასაც სისტემური სახე 1918-21 წლებში მიეცა.

დისკუსია

- ინდუსტრიალიზაცია რუსეთის იმპერიის ფარგლებში

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე თბილისში მუშათა ტიპური კლასი არ არსებობდა. მუშები გაერთიანებული იყვნენ მცირე ზომის სახელოსნოებში. ამიერკავკასიაში 1860-იანი წლებიდან დაიწყო ინდუსტრიალიზაციის პროცესი. რუსეთის იმპერიაში პირველი საყოველთაო აღწერა 1897 წელს განხორციელდა, რომლის თანახმადაც, მოსახლეობის მხოლოდ 17% იყო დასაქმებული მსუბუქ და მძიმე მრეწველობის სექტორში (გიორგაძე, 1928: 107). კიდევ უფრო დაბალი იყო მუშათა წილი ამიერკავკასიაში (კანდელაკი, 1960: 87).

1970-იან წლებში მუშათა კლასის შედარებითი ზრდა უკავშირდებოდა მანგანუმის დამუშავებას ჭიათურაში, ბაქოს ნავთობის მრეწველობის განვითარებას და, რაც მთავარია, რკინიგზის გაყვანას.

1860-იანი წლების ბოლოს თბილისში ფუნქციონირებდა ორთქლის ძრავაზე მომუშავე ერთი სადურგლო, რომელიც წლიურად 15 000 რუსული მანეთის პროდუქციას აწარმოებდა; სპილენძის ჭურჭლის ქარხანა, რომლის წლიური შემოსავალი 4 500 მანეთი იყო; ლუდის ქარხანა – 4 500 მანეთის პროდუქციით; 10 ტყავის ფაბრიკა – 60 000 მანეთის შემოსავლით; საპნის 8 ქარხანა – წლიურად 17 000 მანეთის ნაწარმით; აგურის 60 ქარხანა 228 000 მანეთის პროდუქციით; 7 თამბაქოს ფაბრიკა, 21 000 მანეთის ნაწარმით (გიორგაძე, 1928: 129-130).

თბილისის „ინდუსტრიული“ საწარმოების წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება ნახევარ მილიონ მანეთს უდრიდა. სხვა ქალაქებში საწარმოო პროცესები კიდევ უფრო დაბალ დონეზე იდგა. 1860-იანი წლების ბოლოს გორში 13 მცირე ზომის საწარმო ფუნქციონირებდა, რომლებიც აგურს, ზეთს, თიხის ჭურჭელსა და საღებავებს აწარმოებდა. ეს „საწარმოები“ წლიურად 2 250 მანეთის პროდუქციას უშვებდა.

1865 წელს ძმებმა მირზოევებმა ბამბის გადამამუშავებელი დიდი საწარმო გახსნეს. საწარმოში უმძიმესი შრომითი პირობები იყო. მათ ფაბრიკას უკავშირდება 1872 წელს მუშათა პირველი მასშტაბური გაფიცვა საქართველოში. მირზოევების მუშები გაიფიცნენ 1875 წელსაც. გაფიცვას თბილისის ინტელიგენციაში მხარდამჭერები ნაკლებად ჰყავდა. მეტიც, ჟურნალმა „ივერიამ“ გაფიცვა ფაქტობრივად დაგმო (გიორგაძე, 1928: 131).

მიუხედავად გაფიცვებისა, 1870-1880-იან წლებში მუშათა გაერთიანებას რაიმე ტიპის ორგანიზაციული სახე არ მიუღია. ისინი, ძირითადად, ცალკეული ფაბრიკა-ქარხნების შიგნით აწყობდნენ გაფიცვებს. ასე იყო 1878 წელს ზეიცერის ფაბრიკაში, სადაც მუშები სამუშაო დროის 14 საათამდე შემცირებას მოითხოვდნენ. დამსაქმებელს კი სურდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა 17 საათით განესაზღვრა. 1880-იან წლებში ყველაზე დიდი საწარმო თბილისში

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნო იყო, სადაც რამდენიმე ათასი მუშა იყო დასაქმებული. 1889 წელს სახელოსნოში დიდი გაფიცვა მოეწყო სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. ამავე წელს გაიფიცნენ მუშები ბათუმში ძმები ნობელების ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში (გიორგაძე, 1928: 493-494) – 1880-იანების ბოლოს ბათუმში ერთგვარი ეკონომიკური ბუმი დაიწყო, ბაქოს ნავთობის სამრეწველო ჯაჭვში ათასობით მუშა ჩაება.

1870-იანი წლებიდან მოყოლებული მუშათა რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდებოდა, 1873 წელს თბილისის გუბერნიაში საწარმოებში 2 320 მუშა იყო დასაქმებული, 1887 წელს – 6 107, ხოლო 1894 წელს – 12 500. ქუთაისის გუბერნიაში 1892 წლიდან 1899 წლამდე მუშათა რაოდენობა 10 328-დან 14 335-მდე გაიზარდა (გიორგაძე, 1928: 179). თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში 1894 წელს 4 000-მდე მუშა იყო დასაქმებული.

მუშათა რაოდენობასთან ერთად იზრდებოდა წარმოებული პროდუქციის მოცულობაც. 1885 წელს თბილისის გუბერნიაში საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 3.5 მილიონს შეადგენდა, 1887 წელს 5 მილიონს გადააჭარბა, 1889 წელს კი პროდუქციის ღირებულების მოცულობა შემცირდა და 4 მილიონი შეადგინა (გიორგაძე, 1928: 134). 1886 წელს ყველაზე დიდი ღირებულების პროდუქცია თბილისის ტყავის ქარხნებმა გამოიმუშავეს, კერძოდ, 930 000 მანეთის ეკვივალენტი. ქალაქის 12 ტყავის ქარხანაში 646 მუშა იყო დასაქმებული. თამბაქოს 8 ქარხანა 619 მუშას ასაქმებდა და 1886 წელს 670 000 მანეთის პროდუქცია გამოუშვა ბაზარზე, თბილისის ჩითეულობის ფაბრიკამ, რომელშიც 380 მუშა იყო დასაქმებული, კი – 500 000 მანეთის პროდუქცია(გიორგაძე, 1928: 133-134).

1890 წელს ბათუმში მომუშავე ათმა ნავთობგადამამუშავებელმა და ნავთობის ჭურჭლის ქარხანამ 26.6 მილიონის პროდუქცია აწარმოა (გიორგაძე, 1928: 142). 1880-იანი წლებიდან ბათუმში მუშათა რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა. 1902 წელს აქ 6 500 მუშა იყო დასაქმებული (გიორგაძე, 1928: 180-181).

ჭიათურის მაღაროებში 1900 წლისათვის 3 700-მდე მუშა მუშაობდა. ადგილობრივთან ერთად ჭიათურაში ტრიალებდა გერმანული, ფრანგული და იტალიური კაპიტალი.

- მუშათა მდგომარეობა

1870-იანი წლებიდან მოყოლებული მუშებისთვის უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა, განსაკუთრებით კი ბათუმში. მუშები ვერ იღებდნენ საექიმო დახმარებას, ქარხნებში კატასტროფულად ანტიჰიგიენური გარემო იყო შექმნილი, საჭმელი და სურსათი ძვირი იყო, ბინების სიძვირის გამო მუშები ქარხნებსა და ცივ სარდაფებში ცხოვრობდნენ (გიორგაძე, 1928: 182). ჭიათურაშიც მწვავედ იდგა მცირე ანაზღაურების საკითხი, მუშებს ხშირად საკვებად მჭადი და ლობიო სამუშაოზე სახლიდან მიჰქონდათ.

მძიმე მდგომარეობა იყო ამიერკავკასიის რკინიგზაშიც, რის გამოც 1898 წლის დეკემბერში გაფიცვაც მოეწყო, თუმცა გაფიცულები დააკავეს, მოგვიანებით კი სამსახურიდან დაითხოვეს. 1900 წელს რკინიგზის მუშები კვლავ გაიფიცნენ და მოთხოვნებიც წამოაყენეს: ა) ხელფასების გაზრდა 30-50%-ით, ბ) ზეგანაკვეთური სამუშაოს მოსპობა, გ) ხელფასების კვირაში ორჯერ დარიგება, დ) ადამიანური და ზრდილობიანი მოპყრობა, ე) ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება (გიორგაძე, 1928: 183). ხელისუფლებამ გაფიცულები დააპატიმრა, საპასუხოდ

მუშებმა ფართო გაფიცვა გამოაცხადეს, რომელშიც 2 265-დან 2 008 მუშა ჩაება (გიორგაძე, 1928: 166). აგვისტოს შუა რიცხვებში ხელისუფლებამ მოთხოვნების მცირე ნაწილი დააკმაყოფილა.

1903 წელს მუშების გაფიცვა დაიწყო ჭიათურაში სამუშაო და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისა და ანაზღაურების ზრდის მოთხოვნით (ჩუბინიძე, 1938: 9-10). ხელისუფლება შეეცადა, გაფიცვა დაეშოშმინებინა, მცირედით გაუმჯობესდა ჰიგიენური პირობები.

1880-იანი წლებიდან მძიმედ იდგა არასრულწლოვანთა შრომა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო ევროპაში დისკუსიები და ფართომასშტაბიანი მოძრაობები ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის რეგულირების შესახებ, რადგანაც ქალებსა და ბავშვებს ამუშავებდნენ ხანგრძლივად მიზერული გასამრჯელოს სანაცვლოდ. 1885 წელს რუსეთში მიიღეს კანონი, რის საფუძველზეც აიკრძალა ქალების და არასრულწლოვანთა მუშაობა ღამით. 1903 წელს მიღებული კანონით კი 12-15 წლის ბავშვებისათვის დღეში მხოლოდ 8 საათის მუშაობა შეიძლებოდა. თუმცა, შემდეგ შესაძლებელი გახდა 10 წლიდან ბავშვების დასაქმება, ასევე ღამით 4-საათიანი სამუშაო გრაფიკის შემოღება, ხოლო დღისით მანამდე არსებული 8-საათიანი სამუშაო დღის ნაცვლად 9 საათამდე გაიზარდა ლიმიტი.

1903 წელს შრომის შესახებ მიღებული ახალი კანონის თანახმად, სამუშაო ადგილზე დაშავების შემთხვევაში მშრომელი იღებდა კომპენსაციას ხელფასის 1/3-დან 2/3-მდე. თუმცა კანონითვე განისაზღვრა გამონაკლისი სექტორები – მშენებლობა, რკინიგზა, ხელოსნობა და სოფლის მეურნეობა. სამუშაო ტრავმების აბსოლუტური უმრავლესობა რკინიგზაზე ხდებოდა (გიორგაძე, 1928: 190).

- მუშათა ორგანიზაციები და სისტემური ბრძოლის დასაწყისი

ევროპაში მუშათა კლასს მე-18 საუკუნის მიწურულიდან მემარცხენე პოლიტიკური ჯგუფები უჭერდნენ მხარს, მე-19 საუკუნის შუიდან ესენი, ძირითადად, იყვნენ მარქსისტები და სოციალ-დემოკრატები.

საქართველოში პირველი ევროპული ტიპის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“ 1892 წლის 25 დეკემბერს შეიქმნა ყვირილაში. ორგანიზაციამ 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეძლო თბილისში მუშათა წრეების ფორმირება. მისი საქმიანობა თავდაპირველად წერა-კითხვის სწავლებითა და საბაზისო პოლიტიკური იდეების გავრცელებით შემოიფარგლებოდა (ჩიჩუა, 1933: 12-13), მოგვიანებით ფეხი განსაკუთრებით მოიკიდა ბათუმის მუშებს შორის, სადაც მარქსისტულ ინდოქტრინაციას მისი ლიდერები ისიდორე რამიშვილი და ნიკოლოზ ჩხეიძე ეწეოდნენ.

სოციალ-დემოკრატების ინიციატივით დაიწყო მუშათა საერთაშორისო დღის, 1-ელი მაისის აღნიშვნა, რომელსაც სისასტიკით უპირისპირდებოდა საიმპერიო რეჟიმი. 1898 წლიდან საქართველოში ორგანიზებული მუშათა გაფიცვების სათავეში დიდწილად სოციალ-დემოკრატები იდგნენ. ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გაფიცვა 1902 წელს ბათუმში მოეწყო. გაფიცვა წარუმატებელი აღმოჩნდა – ხელისუფლებამ ქარხნები დროებით დახურა, ათასობით მუშა კი ქალაქიდან გააძევა. გაძევებულთა აბსოლუტური უმრავლესობა გურიის რეგიონიდან იყო. ისინი 1905 წელს გურიაში გლეხთა მოძრაობის სათავეში აღმოჩნდნენ. მუშები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ 1905 წლის რევოლუციისას თბილისში, ბათუმსა და ჭიათურაში.

1900-იანი წლების დასაწყისში სოციალ-დემოკრატებს პარტიული უჯრედები შექმნილი ჰქონდათ ყველა დიდ საწარმოში, მათ შორის მოქმედებდა სოციალ-დემოკრატ მუშა ქალთა უჯრედებიც. მაგალითად, ა. ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანაში, სადაც ასობით ქალი იყო დასაქმებული, ქალთა ორგანიზაციას სოციალ-დემოკრატი აქტივისტი მარიამ ბერიანიძე ხელმძღვანელობდა (ჟურნალი „თავისუფალი საქართველო. (1922). #18).

მიუხედავად იმისა, რომ 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, ხელისუფლება იძულებული გახდა, დათმობებზე წასულიყო. მუშებს მიეცათ ლეგალური პროფესიული კავშირების შექმნის უფლება. 1907 წელს თბილისში შეიქმნა 28 პროფკავშირი, რომლებშიც 13 000 მუშა იყო გაწევრიანებული. პროფკავშირები აქტიურად მუშაობდნენ საგანმანათლებლო და კულტურულ საკითხებზე, ქმნიდნენ სახალხო უნივერსიტეტებს, მუშათა თეატრებსა და სამკითხველოებს. 1908 წლიდან რეჟიმმა მიდგომები გაამკაცრა, მანამდე მეტ-ნაკლებად თავისუფლად მოქმედი პროფკავშირები ფაქტობრივად გაანადგურა (ჯონსი, 2018: 265-266). ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიკავა და რეგიონიდან გაასახლა ათობით აქტივისტი მუშა. მათი დიდი ნაწილი 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე გადასახლებაში იმყოფებოდა.

- 1917 წლის თებერვლის რევოლუცია – ახალ შესაძლებლობათა ფანჯარა

1917 წლის რევოლუცია გახდა ერთგვარი გარდამტეხი წერტილი შრომის პოლიტიკისათვის. მარტშივე გამოიცა დეკრეტი, რომლის ძალითაც 8-საათიანი სამუშაო დღე განისაზღვრა, კანონი პირველ რიგში რკინიგზაზე გავრცელდა (გაზეთი „ერთობა“. (1917). #5). თუმცა ამ ნორმას არ მოუცავს წარმოების ყველა სფერო. მალევე გამოირკვა, რომ ცალკეული დამსაქმებლები არღვევდნენ კანონს, რის გამოც ხელისუფლებამ ცალკეულ საქმოსნებს საკუთრებაც კი ჩამოართვა (გაზეთი „ერთობა“. (1917). #91).

გარდა 8-საათიანი სამუშაო დღისა, ფაქტობრივად, დაკანონდა თავისუფალი პროფესიული კავშირების ფორმირების შესაძლებლობა. 1917 წლის იანვარში პროფკავშირებში დაახლოებით 13 000 მუშა იყო გაწევრიანებული, მაისში კი – 31 პროფესიულ კავშირში – 25 000 (ჯონსი, 2018: 329-330). 1917 წლის ბოლოს თბილისში გამართულ პროფესიულ კავშირთა კონფერენციაზე 41 პროფკავშირიდან იქნენ წარმოდგენილი დელეგატები, კავშირები 29 000 წევრს აერთიანებდა (კაუცკი, 2018: 84). 1917 წლის ბოლოს პროფკავშირებში პარტიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ, განსაკუთრებით, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკები).

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, მართალია, მუშებს პოლიტიკური თავისუფლება მოუტანა, თუმცა ამავე დროს გაამწვავა ეკონომიკური კრიზისი, რის გამოც გაიზარდა უმუშევრობა. მოიმატა იმპერიის სხვა მხარეებიდან თბილისში იმიგრირებულთა რიცხვმაც. თბილისი გაივსო სამუშაოს გარეშე დარჩენილი მუშებით. ამ გამოწვევის საპასუხოდ პროფკავშირებმა იაფი სასადილოები გახსნეს (გაზეთი „ერთობა“. (1917). #168). წლის მიწურულს დაიწყო გაფიცვები. მათ ორგანიზებას უწევდნენ ის პროფკავშირები, რომლებზეც დიდი გავლენა ჰქონდა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას (გაზეთი „ერთობა“. (1918). #13).

- მუშები ძალაუფლების სათავეში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო პირველი სახელმწიფო ევროპაში, რომელიც იმართებოდა სოციალ-დემოკრატების მიერ (გარკვეული დროით კოალიციურ რეჟიმში). რესპუბლიკის მთავრობასა და ეროვნულ საბჭოში სოციალ-დემოკრატებს და სხვა სოციალისტური მიმართულების პოლიტიკურ ჯგუფებს – სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს მანდატების 90%-ზე მეტი ეკავათ, მთავრობაში მინისტრის 8 პორტფელიდან 7 მათ ხელში იყო, ხოლო დამფუძნებელ დოკუმენტს – დამოუკიდებლობის აქტს – 15-ზე მეტი მუშა აწერდა ხელს. მუშათა ინტერესების გამომხატველი მემარცხენე პარტიების პოლიტიკური გავლენები კიდევ უფრო გაიზარდა 1919 წლის თებერვლიდან, როდესაც დემოკრატიულად გამართულ არჩევნებში მანდატების 94% სოციალისტურმა პარტიებმა მოიპოვეს, ხოლო დამფუძნებელ კრებაში 25 მუშა აირჩიეს (ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან) (ხვადაგიანი, 2016: 43). 1918 წლიდან მთავრობის შემადგენლობაში არსებობდა მიწათმოქმედებისა და შრომის სამინისტრო, 1919 წლის მიწურულიდან კი გაჩნდა შრომისა და მომარაგების მინისტრის პორტფელი, რომლის ხელმძღვანელიც მუშათა კლასიდან გამოსული პოლიტიკოსი გიორგი ერაძე იყო.

ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე თვეებიდანვე იზრდებოდა უმუშევრობის დონე. საჯარო უწყებების რეორგანიზაციისა და გაუქმების შედეგად უმუშევართა რიგებს უერთდებოდნენ საიმპერიო ხელისუფლების ორგანოების ყოფილი თანამშრომლები. ამ პირთათვის მთავრობამ სპეციალური „სალიკვიდაციო კომისია“ დააარსა შესაბამისი ფინანსური რესურსებით. გათავისუფლებულებს კომპენსაცია ეძლეოდათ (საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი (ცსა), ფონ. 1861, ან. 3, საქ. 3, ფურ. 50). მთავრობამ 1918 წლის ზაფხულშივე დაიწყო მუშებისათვის სასურსათო შეღავათების გაწევა იაფი სასადილოებისა და საჩაიეების დაარსებით. მალევე შეიქმნა ინსტიტუციური მექანიზმიც, რომელსაც „მუშათა მაგიდებს“ უწოდებდნენ – ეს იყო ერთგვარი იაფი სასურსათო მარკეტები, სადაც სპეციალური მოწმობებით მუშებს შეეძლოთ, საბაზროზე ბევრად დაბალ ფასად შეეძინათ პროდუქტები.

- ორგანიზებული პროფესიული გაერთიანება

1917 წლიდან მოყოლებული პროფესიული გაერთიანებები უკვე ევროპულ სისტემურ პროფკავშირებს ემსგავსებოდა. ამ პერიოდში თბილისის ცენტრალური საბჭო ითვლებოდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთო კავკასიური პროფკავშირების ცენტრალურ ორგანოდ. თუმცა ბაქოს პროფესიულ გაერთიანებებში ბოლშევიკები იყვნენ გაბატონებულნი, მაშინ, როდესაც თბილისში გავლენები სოციალ-დემოკრატთა ხელთ იყო. 1919 წლის აპრილში ბაქოელმა მუშებმა დესტრუქციულად თქვეს უარი თბილისში გასამართ კონფერენციაში მონაწილეობაზე და ფაქტობრივად ცალკე გავიდნენ.

1918 წლის ზაფხულიდან მუშებმა გაფიცვები დაიწყეს. 1918 წლის აგვისტოში გაიფიცნენ ფოთის ნავსადგურის მტვირთავები, რამაც შეაჩერა პორტის მუშაობა. პროფკავშირი აქტიურად არ ერეოდა გაფიცვებში, რისი მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ კავშირების ცენტრსა და მთავრობაში ერთი და იგივე პარტიის წევრები იყვნენ. საბოლოოდ, გაფიცვის შეწყვეტა შრომის სამინისტროს ჩარევით მოხერხდა, მუშათა მოთხოვნები დაკმაყოფილდა (გაზეთი „ერთობა“. (1918). #197).

1918 წლის სექტემბერში გაიფიცნენ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშები. ისედაც ეკონომიკურ კრიზისში მყოფი რესპუბლიკისთვის ქვანახშირი მთავარი სათბობი და

საექსპორტო რესურსი იყო, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვენლობას იძენდა ის, თუ რა რეზონანსს ჰპოვებდა გაფიცვა. პროფკავშირი გაფიცვას მხარს არ უჭერდა, სოციალ-დემოკრატიული პარტია კი პირდაპირ გმობდა (გაზეთი „ერთობა“. (1918). #201). საბოლოოდ, ხელისუფლების ჩარევით მუშების ხელფასი 50%-ით მაინც გაიზარდა.

1919 წელს 11-16 აპრილს თბილისში გაიმართა პროფესიული კავშირების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა 65 კავშირის 198-მა დელეგატმა მიიღო. ამ პერიოდისათვის ცენტრალურ საბჭოში სულ შედიოდა მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი 87 პროფესიული კავშირი, რომლებშიც 54 701 მუშა იყო გაწევრიანებული (ბენდიანიშვილი, 2001: 252). კონფერენციაზე დადასტურდა, რომ ამ გაერთიანებაში სოციალ-დემოკრატიული პარტია დომინირებდა: კონფერენციას თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატი იოანე (მუხრან) ხოჭოლავა, პრეზიდიუმის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა სოციალ-დემოკრატი იყო, კონფერენციაზე, ძირითადად, მთავრობის წევრები და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები გამოვიდნენ. მოხსენებები რესპუბლიკაში არსებულ ეკონომიკურ კრიზისს, უმუშევრობასა და ჰიპერინფლაციას ეხებოდა (ირემაძე, 2018: 362). კონფერენციაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პროფკავშირის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც – კავშირებს ჰქონდა წერა-კითხვის შემსწავლელი ქსელი, მუშათა თეატრები, კლუბები, იაფი კაფეები და სასადილოები, ასევე პატრონაჟი ჰქონდათ აღებული სახალხო უნივერსიტეტებზე, რომელთა მსმენელებიც ძირითადად მუშები იყვნენ (ცსა, ფონ. 2075, ან. 1, საქ. 54, ფურ. 111).

კონფერენციის პარალელურად, თბილისში თვეობით დაგვიანებული ხელფასების გაცემისა და ჯამაგირის გაზრდის მოთხოვნით ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთა გაფიცვა დაიწყო, რომელიც დაგმო, როგორც პროფკავშირების საბჭომ, ისე ხელისუფლებამ და ოპოზიციამ. გაფიცულთა წინააღმდეგ კამპანია გაიმართა პრესაშიც (გაზეთი „ერთობა“. (1919). #80). თვითმმართველობის მოხელეთა გაფიცვა კონტრშედეგით დასრულდა: სახელმწიფო ენის კანონის მოხმობით, გაფიცულ მოხელეთა დიდი ნაწილი დაითხოვეს სამსახურიდან, რადგანაც გაფიცულების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ენის არმცოდნე ეთნიკური რუსები და სომხები იყვნენ. დათხოვნილ მოხელეებს კანონის შესაბამისად მიეცათ კომპენსაციები. პროფესიულმა კავშირებმა ასევე დაგმო 1919 წლის ოქტომბერში თბილისელი ფარმაცევტების გაფიცვაც (ცსა, ფონ. 2075, ან. 1, საქ. 82, ფურ. 12).

1919 წელის კონფერენციის შემდეგ დაჩქარდა პროფკავშირების ბიუროკრატიული აპარატის მოწესრიგება. მართალია, კანონი ავალდებულებდა პროფესიულ კავშირებს, საქმისწარმოება ქართულ ენაზე განეხორციელებინათ, თუმცა მისი მრავალეროვნულობიდან გამომდინარე, საქმისწარმოება, ძირითადად, მაინც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა (ცსა, ფონ. 2075, ან. 1, საქ. 86, ფურ. 16). 1920 წლის დასასრულს საქართველოს პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოში 113 პროფესიული გაერთიანება იყრიდა თავს, რომლებიც 64 000-მდე მუშას აერთიანებდა. პროფკავშირები გამოსცემდნენ ორკვირეულ ჟურნალს „მუშათა ცხოვრებას“, რკინიგზელთა გაერთიანება ყოველკვირეულ პროფესიულ და პოლიტკური ორგანოს „რკინიგზელი“ (ცსა, ფონ. 2077, ან. 1, საქ. 1, ფურ. 3). პროფესიული კავშირების საბჭოების არჩევა დემოკრატიული გზით მიმდინარეობდა, 1921 წლის დასაწყისისათვის პროფკავშირების საბჭოების დელეგატთა 90%-ზე მეტი სოციალ-დემოკრატი იყო (ლი, 2018: 159). მასწავლებელთა კავშირსა და რამდენიმე პროფესიულ გაერთიანებაში კი დომინირებდნენ ფედერალისტები და ბოლშევიკები (გაზეთი „ერთობა“. (1919). #27). ბოლშევიკები პროფესიულ გაერთიანებაში დესტრუქციულ საქმიანობას ეწეოდნენ და

თავიანთ მანდატს რესპუბლიკის წინააღმდეგ საქმიანობისათვის იყენებდნენ, რის გამოც 1920 წელს მეტყევეთა კავშირი საერთოდ გაირიცხა საბჭოდან (გაზეთი „ერთობა“. (1920), #160).

1919-1920 წლებში მუშათა პროფესიული გაერთიანებების ცენტრალური საბჭო ცდილობდა კავშირების დამყარებას ევროპელ მუშათა კლასთან, პროფკავშირელები აგზავნიდნენ წერილებს ევროპის ქვეყნების მუშათა ორგანიზაციებთან და მოითხოვდნენ მათ მხარდაჭერას საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებასთან დაკავშირებით (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა. (1919). #164). პროცესი დააჩქარა 1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში ევროპელ სოციალისტთა დელეგაციის სტუმრობამ, რომლის შემადგენლობაშიც დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ბელგიის პროფესიულ კავშირთა წარმომადგენლებიც შედიოდნენ. პროფკავშირელები იმედოვნებდნენ ურთიერთობების დალაგებას საბჭოთა რუსეთის მშრომელებთან, გეგმავდნენ ოფიციალური დელეგაციის გაგზავნას რუსეთში, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ მათ უარი შეაგება.

- „მშრომელთა რესპუბლიკა“

რესპუბლიკის პოლიტიკური ძალები, მათ შორის მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატები (ჯანელიძე, 2002: 176-177), თანხმდებოდნენ მუშათა უფლებების საბაზო ნორმებზე – 8-საათიანი სამუშაო დღე, შრომითი პირობების კონტროლი, სამუშაო ტრავმების დაზღვევა, ქალთა, განსაკუთრებით ორსულთა და არასრულწლოვანთა შრომის მკაცრად რეგულირება. სოციალ-დემოკრატები საარჩევნო პროგრამაში ამ სტანდარტებს იცავდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები კი მუშათა უფლებებისა და ძალაუფლების არეალის გაფართოებას მოითხოვდნენ (ირემაძე, ლორთქიფანიძე, შუბითიძე & ყაზაიშვილი, 2015: 153, 161).

1918 წლის განმავლობაში ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ვერ მოხერხდა. პირველი მნიშვნელოვანი ინსტიტუციური გარღვევა 1919 წლის აპრილში მოხდა, როდესაც პროფკავშირების კონფერენციის დასასრულს გადაწყდა, შექმნილიყო ახალი ინსტიტუტი „სატარიფო პალატა“, რომლის მთავარი ფუნქციაც იქნებოდა შრომასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება. სატარიფო პალატა 1919 წლის მაისიდან დაკომპლექტდა მშრომელების, დამსაქმებლებისა და შრომის სამინისტროს წარმომადგენლებით. მისი ფუნქციები:

„ა) ცნობებს კრეფს მუშათა ბაზრის მდგომარეობაზე.

ბ) ცნობებს კრეფს მუშათა ხელფასზე.

გ) იძლევა ცხოვრების სიძვირის შესახებ დასკვნებს.

დ) არკვევს და იძლევა დასკვნას მუშათა წამოყენებულ მოთხოვნილებებზე.

ე) იხილავს და ამტკიცებს კოლექტიურ-ხელშეკრულებებს.

ვ) რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და ან მაზრაში აწესებს და არკვევს საცხოვრებელ მინიმუმს.

ზ) აწესებს ნორმალურ ხელფასს, პროფესიის-კატეგორიის წარმოების და რაიონის მიხედვით.

თ) აწესებს გამომუშავებულ ტიპურ ნორმებს.

ი) აწესებს ზედმეტ მუშაობის დროს ხელფასით დაკმაყოფილებას.

კ) ასრულებს არბიტრაჟის ფუნქციას ხელ-ფასის საკითხებში.

ლ) აწესებს დროს პერიოდიულს და განსაკუთრებითს, ხელფასის გადასასინჯავათ.

მ. პოულობს ყოველივე საზომს სპეკულიაციასთან და სიძვირესთან საბრძოლველათ.

ნ) ამუშავებს კითხვებს, რომლებიც ეხება წარმოების ძალთა განვითარებას და ხელფასის გათანასწორებას.

ო) ამუშავებს პროექტებს სავალდებულო დადგენილებისა და კანონებისა შრომის მინისტრთან წარსადგენათ"(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". (1919). #116).

სატარიფო პალატის საქმიანობა 1920 წელს შეისწავლა ცნობილმა თეორეტიკოსმა კარლ კაუცკიმ – ***„სატარიფო პალატა ვალდებულია, იხელმძღვანელოს საარსებო მინიმუმისა და დასაქმებულთა ხელფასის გათვალისწინებით; შეისწავლოს მუშათა დავები; განიხილოს კოლექტიური ხელშეკრულებები და მიიყვანოს ისინი შეთანხმებამდე. საბოლოოდ კი, მუშათა და დამქირავებელთა დავების დროს იმოქმედოს, როგორც შუამავალმა. ამ უწყებამ დღევანდლამდე ყველა სახის ღია კონფლიქტის თავიდან არიდება მოახერხა. 1919 წლის მაისიდან მოყოლებული, როდესაც მან ფუნქციონირება დაიწყო, პროფკავშირებს არც ერთი გაფიცვა არ მოუწყვიათ, მიუხედავად იმისა, რომ, ბოლშევიკური რუსეთისაგან განსხვავებით, გაფიცვა აკრძალული არ ყოფილა – ამ თვალსაზრისით საქართველო უნიკალურია"*** (კაუცკი, 2018: 84-85).

1920 წლის 14 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კანონი „შრომის ხელშეკრულების" შესახებ, რომელსაც ოპოზიცია, განსაკუთრებით კი ეროვნულ-დემოკრატები საჯაროდ აკრიტიკებდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ კანონი მხოლოდ მუშებს იცავდა და არაფერს ამბობდა დამსაქმებელთა უფლებებისა და ინტერესების შესახებ (ირემაძე, 2018: 364-365). კანონის დასკვნითი მუხლების თანახმად, მისი დამრღვევი ისჯებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

შრომის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები და პოლიტიკურ ძალთა დამოკიდებულება შრომასთან დაკავშირებით აისახა კონსტიტუციის 117-ე მუხლშიც – ***„შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა"*** (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990: 476).

მართალია, სახელმწიფო ლიდერები საჯაროდ აცხადებდნენ, რომ მათი პოლიტიკა ორიენტირებული იყო მუშათა უფლებებისა და სოციალური ყოფის გაუმჯობესებაზე, თუმცა ეს სურვილები ხშირად არსებული რეალობის გამო ვერ ხორციელდებოდა. ინფლაციის პროცესი 1914 წლიდან დაიწყო და პიკს 1917-1920 წლებში მიაღწია. 1914-1920 წლების ინტერვალში მუშების ხელფასები 50-100-ჯერ გაიზარდა, ხოლო სასურსათო პროდუქტების ფასი – 150-300-ჯერ (კანდელაკი, 1960: 139). რეალურად მუშათა ხელფასების მსყიდველუნარიანობა გაზრდის ნაცვლად შემცირდა. ამავე პერიოდში სამუშაო საათების რაოდენობა 12-დან 8-მდე შემცირდა, შემოღებულ იქნა მუშათა დაზღვევა და პენსია, სასურსათო ფასების ზრდის საპასუხოდ მუშებისათვის შექმნილი „მუშათა მაგიდა" საკმაოდ ეფექტური მექანიზმი გამოდგა და მისით 50 ათასზე მეტი მუშა სარგებლობდა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". (1920). #25).

პოლიტიკური კლასის დამოკიდებულების, მუშათა მოლოდინებისა და საზოგადოების წარმოდგენების შესახებ კონსტანტინე კანდელაკი წერდა - *„ბევრის წარმოდგენით თუმცა დამოუკიდებელ საქართველოში ნივთიერი გასაჭირი დიდი იყო, მაგრამ რადგან ხელისუფლება სოციალისტებს ეჭირა, მუშები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და ამიტომ საუკეთესო ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საზოგადოების ფართე წრეებთან შედარებით. სამწუხაროთ, ... ეს სულ ასე არ ყოფილა. მუშა მოსამსახურის მდგომარეობა დამოუკიდებელ საქართველოში საერთოდ ისეთივე იყო, როგორც დანარჩენ*

საზოგადოების, ისინიც განიცდიდნენ ნივთიერ გაჭირვებას. და არა იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ პროფესიული ორგანიზაციები და თავის უფლებებს და მოთხოვნებს საკმარისად ვერ იცავდენ, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ისინი, დარაზმულნი პროფესიულ კავშირებში და პოლიტიკურ ორგანიზაციებში, სრულის შეგნებით ერკვეოდენ არსებულ მდგომარეობაში. დემაგოგიას არ მიყვებოდენ, განუხორციელებელ მოთხოვნილებებს არ აყენებდნენ და ყოველგვარ უპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმას ერიდებოდნენ. ამ მხრივ საქართველოს მუშათა კლასი ისეთ თავდაჭერილობას და პოლიტიკურ სიმწიფეს იჩენდა, რომ მისი ყოფაქცევა იმ დროს სანაქებო და დიდი პატივისცემის ღირსი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ დავინახეთ მრავალი მაგალითი მუშათა თავდაუჭერლობის, ევროპის ზოგიერთ ქვეყნებშიც კი, ასეთივე კრიზისების და გარდამავალ ხანის პერიოდში" (კანდელაკი, 1960: 135).

მუშებმა რესპუბლიკის ერთგულება 1921 წლამდეც მრავალჯერ დაამტკიცეს. 1918-1921 წლებში ისინი რესპუბლიკის სახალხო გვარდიაში მსახურობდნენ და საკუთარი სისხლით იცავდნენ რესპუბლიკის საზღვრებს – ასობით მუშა დაეცა სხვადასხვა ფრონტზე. მუშები 1921 წლის თებერვალშიც ბრძოლის ხაზზე აღმოჩდნენ წითელი არმიის წინააღმდეგ, როცა პროფკავშირმა ბრძოლის ველზე გასვლისაკენ მოუწოდა მოქალაქეებს (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". (1921). #39).

1921 წლის მარტიდან მუშები ანტისაბჭოთა მოძრაობის ავანგარდში იდგნენ. ოკუპაციიდან რამდენიმე თვის შემდეგ ასობით მუშა აქტივისტი საბჭოთა „ჩეკას" ციხეებში აღმოჩნდა. მუშებმა 1921 წლის ივლისში, ფაქტობრივად, ობსტრუქცია მოუწყვეს იოსებ სტალინს. 1921 წლის ოქტომბერში მათ საბჭოთა საქართველოს რევკომს წარუდგინეს დეკლარაცია, რომელშიც მოითხოვნდნენ: ***„1. საქართველოს დარღვეულ დამოუკიდებლობის აღდგენას და ქართული ენის დაცვას. 2. რუსის ჯარის გაყვანას საქართველოდან... 3. მუშათა ორგანიზაციების, კრების, სიტყვის, პრესის, არჩევნების თავისუფლებას და ბინის და პიროვნების ხელუხლებლობას. 4. რომ შიმშილით არ დაიხოცოს მუშათა ოჯახები, მუშების ნივთიერი მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას. 5. მუშების დათხოვნის და უცხოეთში გადასახლების შეჩერება-მოსპობას. 6. უცხო მოხელეების ძალადობის მოსპობას. 7. საქართველოს სოფლებში რუსის ჯარის ეკზეკუციების მოხსნას და 8. პოლიტიკურ დევნილების და ტუსაღების განთავისუფლებას"*** (ჟურნალი „თავისუფალი საქართველო". (1921). #14). საბჭოთა რეჟიმმა მუშათა დეკლარაციის საპასუხოდ რეპრესიების ახალი ტალღა წამოიწყო და ათობით მუშა დააპატიმრა. რეჟიმმა დაშალა დემოკრატიული პროფკავშირები და და ის ხელისუფლებისადმი ლოიალური კადრებით დააკომპლექტა.

დასკვნები

ევროპის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საქართველოში კაპიტალიზმი და, შესაბამისად, მუშათა კლასის გაფართოება მხოლოდ 1860-1870-იანი წლებიდან დაიწყო. 1870-იანი წლებიდან მოყოლებული 1917 წლამდე საქართველოს მუშათა კლასმა რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა გაიარა. ერთი მხრივ დამსაქმებლების მიერ შევიწროებულ ჯგუფს სახელმწიფო მარწუხებიც მკაცრად უჭერდა.

1870-1895 წლების პერიოდში მუშათა მოძრაობას, ფაქტობრივად, არც სისტემური ხასიათი გააჩნდა და არც პოლიტიკური მხარდაჭერა და სოლიდარობა ჰქონდა საზოგადოების ფართო

ფენებიდან. მხოლოდ 1890-იანი წლებიდან უჩნდება მუშებს პოლიტიკური მხარდამჭერი და მაორგანიზებელი ძალა სოციალ-დემოკრატთა სახით, რომლებიც ამავდროულად მუშებისაგანაც დიდ მხარდაჭერას იღებდნენ.

1902 წლიდან მუშები სოციალ-დემოკრატთა ეგიდით პოლიტიკურ ასპარეზზე ღიად გამოდიან და სისტემის წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას იწყებენ, რისი წყალობითაც კიდევ უფრო იზრდება საზოგადოების მხარდაჭერა. 1905 წლის რევოლუციამ მუშებს ერთდოულად მოუტანა გამარჯვებაც და მარცხიც. ამის შემდეგ 1917 წლამდე პოლიტიკურ და სოციალურ ველზე დიდი ცვლილებებისთვის ადგილი აღარ მოიძებნებოდა.

1917 წელი მუშათა უფლებების კუთხით გარდამტეხი აღმოჩნდა. მუშებმა მიიღეს ნანატრი უფლებები და გააფართოვეს პროფკავშირების რიგები.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელიც მუშათა კლასის მთავარი პოლიტიკური მხარდამჭერების, სოციალ-დემოკრატების მიერ იმართებოდა, ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, მუშათა უფლებრივი მდგომარეობის სრული ტრანსფორმაცია მოახდინა. ამ თვალსაზრისით საქართველო ერთგვარი პიონერიც იყო. რესპუბლიკის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა და ზოგადმა პოლიტიკამ მუშათა სრული მხარდაჭერა მოიპოვა, რაც 1921 წლის თებერვალ-მარტში ფრონტის ხაზზეც დამტკიცდა.

სოციალ-დემოკრატების მიერ აშენებული დემოკრატიულ საწყისებზე მოქმედი მუშათა გაერთიანებები საბჭოთა რეჟიმმა იმსხვერპლა, როგორც ინსტიტუციურად, ასევე პერსონალურად, რადგანაც გამორჩეულ მუშა აქტივისტთა დიდი ნაწილი რეპრესიებს შეეწირა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბენდიანიშვილი, ა. (2001). *საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.).* თბილისი: გამომცემლობა „მემატიანე“.

გიორგაძე, გრ. (1928). *საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905.* თბილისი: სახელგამი.

ირემაძე, ი. ლორთქიფანიძე, ლ., შუბითიძე, ს., & ყაზაიშვილი, ხ., (2015). *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია, ტ. I.* თბილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება.

ირემაძე, ი. (2018). *შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (კრებულში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის?).* თბილისი: თსუ.

კანდელაკი, კ. (1960). *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი: Institute for the study of the USSR.

კაუცკი, კ. (2018). *საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი.* თბილისი: თსუ.

ლი, ე. (2018). *ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია.* თბილისი: პოეზია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. (1990). თბილისი: ივერთა მხარე.

ჩიჩუა, ზ., (1933). *საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მოკლე ისტორია.* პარიზი: საქართველოს ს.-დემ, მ. პ. საზღვ.-გარ. ბიუროს გამომცემლობა.

ჩუბინიძე, ვ. (1938). *მოგონება 1905 წლიდან 1921 წლის 15 მარტამდე,* პარიზი.

ჯანელიძე, ო. (2002). *ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან.* თბილისი: მეცნიერება.

ჯონსი, ფ. ს. (2018). *სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ხვადაგიანი, ი. (2016). *საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919.* თბილისი: Sovlab.

საარქივო წყაროები:

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (ცსა), ფონ. 1861, ან. 3, საქ. 3 , ფურ. 50.

ცსა, ფონდი 2075, ან. 1, საქ. 82, ფურ. 12.

ცსა, ფონდი 2075, ან. 1, საქ. 86, ფურ. 16

ცსა, ფონდი 2075, ან. 1, საქ. 54, ფურც. 111.

ცსა, ფონდი 2077, ან. 1, საქ. 1, ფურ. 3.

პერიოდული გამოცემები:

გაზ. *„ერთობა“.* (1917). #168.

გაზ. *„ერთობა“.* (1918). #12, #197, #201.

გაზ. *„ერთობა“.* (1919). #27, #80.

გაზ. *„ერთობა“.* (1920). #160.

ჟურნ. *„თავისუფალი საქართველო“.* (1921). #14.

ჟურნ. *„თავისუფალი საქართველო“.* (1922). #18.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1919). #116, #164.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1919). #25, #39.

REFERENCES

Bendianisgvili, A., (2001). Sakartvelos P'irveli Resp'ublik'a *(1918-1921) [The First Republic of Georgia (1918-1921)].* Tbilisi: Mematiane.

Giorgadze, Gr., (1928*). Sazogadoebrivi Urtiortobebi Sak'artveloshi 1864-1905 [Social relationship in Georgia 1864-1905].* Tbilisi: Sakhelgam.

Iremadze, I., Lortkipanidze, L., Shubitidze, S., & Kazaishvili, Kh., (2015*). Kartuli Memartskheneobis Krest'omatia [Chrestomathy of Georgian Left Wing].* Tbilisi: Fabian Society of Georgia.

Iremadze, I., (2018). *Shromis Sak'itkhi da P'rofk'avshirebi Sakartvelos Demok'rat'iul Resp'ublik'shi (in Book: Sakartvelos Demok'rat'iuli Resp'ublik'is Gakhseneba 100 Ts'lis Shemdeg – Modeli Evrop'istvis? [Trade Unions and Labor Issues in the Democratic Republic of Georgia (in the book: Remembering the Georgian Democratic Republic 100 Years On: A model For Europe?)]* Tbilisi: TSU.

Janelidze, O., (2002). *Nark'vevebi Sak'artvelos Erovnul-Demok'rat'iuli P'art'iis Ist'oriidan [Essays from History of the National-Democratis Party of Georgia].* Tbilisi: Metsniereba.

Kandelaki, K., (1960). *Sakartvelos Erovnuli Meurneoba: Ts'igni Meore, Damouk'idebeli Sakartvelo: Misi Sotsialuri da Ek'onomik'uri Mdgomareoba [National Economy of Georgia, Second Book, The Independent Georgia: Its Social and Economy Status].* Paris: Institute for the study of the USSR.

Kautsky, K., (2018). *Sakartvelo: Sotsial-Demok'rat'iuli Glekhta Resp'ublik'a – Shtabech'dilebebani da Dak'virvebani [Georgia: Asocial-Democratic Peasant Republic – Impressions and Observations].* Tbilisi: TSU.

Lee, E., (2018). *Eksp'eriment'i: Sakartvelos Davits'qebuli Revolutsia 1918-1921 [The Experiment: Georgia's Forgotten Revolution 1918-1921].* Tbilisi: Poezia.

*Sakartvelos Demok'rat'iuli Resp'ublik'is Samartlebrivi Akt'ebis K'rebuli 1918-1921[Collection of legal acts of the Democratic Republic of Georgia 1918-1921].(*1990). Tbilisi: Iverta Mkhare.

Chichua, Z., (1933). Sakartvelos Sotsial-demok'rat'iuli Mushata Partiis Mok'le Ist'oria, [Easy History of the Georgian Social-Democratic Labor Party (GSDLP)]. Paris: GSDLP Abord Bureau.

Chubinidze, V., (1938). *Mogonebebi 1905 Ts'lidan 1921 Ts'lis 15 Mart'amde [Memories from 1905 to 15ts March 1921],* Paris.

Jones, F. S (2018). *Sotsializmi Kartul Ferebshi: Social-Demok'rat'iis Evrop'uli Gza 1883-1917 [Socialis in Georgian Colors: The European Road to Social Democracy, 1883-1917].* Tbilisi: Ilia State University.

Khvadagiani, I., (2016). *Sakartvelos Damfudznebeli K'reba 1919, [The Constituent Assembly of Georgia 1919].* Tbilisi: Sovlab.

Archival Recourses:

National Archive of Georgia, Central Historical Archive (CHA), Fond 1861, Description 3, Case 3, Paper 50.

CHA, F. 2075, D. 1, C. 82, P. 12.

CHA, F. 2075, D. 1, C. 86, P. 16

CHA, F. 2075, D. 1, C. 54, P. 111.

CHA, F. 2077, D. 1, C. 1, P. 3.

Periodical Press:

Gazeti "*Ertoba",* [Newspaper *"Unity"].* (1917). #168 .

Gazeti "*Ertoba",* [Newspaper *"Unity"].* (1918). #12, #197, #201.

Gazeti "*Ertoba",* [Newspaper *"Unity"].* (1919). #27, #80.

Gazeti "*Ertoba",* [Newspaper *"Unity"].* (1920). #160.

Gazeti *"Sak'artvelos Resp'ublik'a", [Newspaper "Republic of Georgia"].* (1919). #116, #164.

Gazeti *"Sak'artvelos Resp'ublik'a", [Newspaper "Republic of Georgia"].* 1919). #25, #39.

Zhurnali "Tavisupali Sak'art'velo", [Magazine "Free Georgia"]. (1921). #14.

Zhurnali "Tavisupali Sak'art'velo", [Magazine "Free Georgia"]. (1921). (1922). #18.

მადლიერება

პროექტის ავტორი მადლობას უხდის პროფესორებს დიმიტრი შველიძეს, ბონდო კუპატაძესა და ოთარ ჯანელიძეს კვლევის განხორციელების პროცესში გაწეული დახმარებისათვის.